

საიდ. №78234/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №191-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ლაბორატორიოს ლიომონტ ეს ეი დე სი ვი“ (Laboratorios liomont S.A. de C.V.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №191-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 სექტემბრის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1182/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „Supradol სუპრადოლი Супрадол“ (საიდ. №78234/03) დარეგისტრირება საქართველოში მე-5 კლასის საქონლის შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ: „ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები და მედიკამენტები ადამიანებისათვის“.

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 სექტემბრის №1182/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „Supradol სუპრადოლი Супрадол“ რეგისტრაციას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „ავდ.ფარმა გმბჰ & კო.კგ“ (მისამართი: ლაიპციგერ შტრასე 7-13, 01097 დრეზდენი) სახელზე მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „Surfradol“ (რეგ. N 1353, რეგისტრაციის თარიღი: 11/01/1996;). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური, ქართული და კირილიცას ანბანით, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოდგენილია მხოლოდ ლათინური ანბანით. შესაბამისად, ადგილი აქვს როგორც ვიზუალურ, ასევე ჟღერადობრივ მსგავსებას. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ასოთა კომბინაცია იძლევა ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის „ლაბორატორიოს ლიომონტ ეს ეი დე სი ვი“ წარმომადგენლები თამარ ხარაზიშვილი და ლევან ნიკოლაძე არ ეთანხმებიან გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები საკმარისად განსხვავდება ერთმანეთისგან ვიზუალურად და ფონეტიკურად. აპელანტის პოზიციით, მან განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის შეზღუდა მე-

5 კლასში შემავალი საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: „ტკვილგამაყუჩებელი საშუალებები და მედიკამენტები ადამიანებისათვის“. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნებისთვის საქონლის ჩამონათვალი, რაც დამატებით წარმოადგენს განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საფუძველს. აპელანტის მითითებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ვიზუალურად და ფონეტიკურად განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური და ქართული ანბანით, ასევე კირილიცაზე, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი წარმოდგენილია მხოლოდ ლათინური ანბანით. განცხადებული სასაქონლო ნიშნის ლათინური ანბანით შესრულებული ვერსია შეიცავს 8 ასოს, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს მხოლოდ 9 ასოს. განცხადებული სასაქონლო ნიშანი სიტყვის შუაში შეიცავს ასოს „p“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „p“-ს მაგივრად შეიცავს ასოებს “rf”. აღნიშნული განსხვავება ნიშნებს ანიჭებს განსხვავებულ ჟღერადობას. კერძოდ, განცხადებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „სუპრადოლი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც - „სურფრადოლი“. იმ გარემოებას, რომ საქონლის ზემოაღნიშნული ჩამონათვალი საკმარისად განსხვავებულად უნდა ჩაითვალოს, ამყარებს თავად საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. მაგალითად: N50-03/11 გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა სასაქონლო ნიშანს „DIAREX“, პალატამ დადგინა, რომ მე-5 კლასში შემავალი საქონელი „ფარმაცევტული პრეპარატები და სამედიცინო დანიშნულების დიეტური ნივთიერებები“ განსხვავებული იყო ამავე კლასში შემავალი შემდეგი საქონლისგან: „ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატები და ნივთიერებები, სპერმატოზოიდების დამშლელი გელები, სითხეები და კრემები“. ასევე აღსანიშნავია, N47-03/11 გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა სასაქონლო ნიშანს „OVESTIN“. აღნიშნულ საქმეზე პალატამ დაადგინა, რომ მე-5 კლასში

შემაჯავალი საქონელი „ფარმაცევტული პრეპარატები, კერძოდ, ესტროგენები მენოპაუზასთან დაკავშირებული ესტროგენის დეფიციტის სიმპტომების სამკურნალოდ“ განსხვავებული იყო ამავე კლასში შემაჯავალი შემდეგი საქონლისგან: „თერაპიული მიზნით ადამიანებისათვის განკუთვნილი ანტისხეულები“. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში, მოცემული შემთხვევის მსგავსად, ერთმანეთს უპირისპირდებოდა, ერთის მხრივ, ფარმაცევტული პრეპარატები, როგორც საქონლის ზოგადი ჩამონათვალი და მეორეს მხრივ, კონკრეტული პრეპარატი. მიუხედავად ამისა, პალატამ მიიჩნია, რომ საქონლის ჩამონათვალი არის განსხვავებული. ამგვარად, განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებობს საკმარისი ვიზუალური და ფონეტიკური განსხვავება, ასევე განსხვავებულია იმ საქონლის ჩამონათვალიც, რომელთა მიმართაც მოითხოვება ნიშნების რეგისტრაცია. აპელანტის განმარტებით, გამორიცხულია, რომ მომხმარებელს ერთმანეთში აერიოს დაპირისპირებული ნიშნები შემდეგი გარემოების გამო: დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირებულია მე-5 კლასში ფარმაცევტული პრეპარატების მიმართ. განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოთხოვნილია ასევე, მე-5 კლასში შემაჯავალი კონკრეტული საქონლის მიმართ, რომელიც ასევე წარმოადგენს ფარმაცევტულ პრეპარატს. ფარმაცევტული პრეპარატების დანიშვნა, როგორც წესი, ხდება ექიმის მიერ და მომხმარებელმა კარგად იცის, თუ რომელი პრეპარატი ესაჭიროება და მისი შემენისას იჩენს განსაკუთრებულ სიფრთხილეს. მომხმარებლისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ფარმაცევტული პრეპარატების დასახელებები, რიგ შემთხვევებში, ძალიან ჰგავს ერთმანეთს და სრულიად სხვადასხვა დანიშნულების მქონე პრეპარატების დასახელებებს შორის სხვაობა შესაძლოა იყოს ერთი ბგერა ან თუნდაც ერთი ასო. ზოგადი მიდგომის თანახმად, ფარმაცევტული პრეპარატების დასახელებების რეგისტრაციის დროს მოქმედებს სტანდარტი, რომლის მიხედვითაც არ არის აუცილებელი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან

დაპირისპირებული ნიშნები. მცირედი სხვაობის არსებობაც კი ქმნის განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე თანხმობის გაცემის საფუძველს. აღნიშნულ მიდგომას იყენებს თავად საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატა თავის არაერთ გადაწყვეტილებაში, რომლებიც ეხება ფარმაცევტული პრეპარატების დასახელებების რეგისტრაციას, მაგალითად: გადაწყვეტილება N97-03/11, სადაც პალატამ დაადგინა, რომ სასაქონლო ნიშნები „АДЕНУРИК“ და „ატენორიკი АТЕНОРИК АТЕНОРИК“ არ იყო ერთმანეთთან აღრევამდე მსგავსი. გადაწყვეტილებაში N81-03/11 პალატამ დაადგინა, რომ სასაქონლო ნიშნები „როსუკორი ROSUCOR“ და „ROSUCARD“ არ იყო ერთმანეთთან აღრევამდე მსგავსი. ასევე, გადაწყვეტილებაში N84-03/11 პალატამ დაადგინა, რომ სასაქონლო ნიშნები „ოქსივინი OXYVIN ОКСИВИН“ და „ნაზივინი“ არ იყო ერთმანეთთან აღრევამდე მსგავსი. გადაწყვეტილებაში N47-03/11 პალატამ დაადგინა, რომ სასაქონლო ნიშნები „OVESTIN“ და „AVASTIN“ არ იყო ერთმანეთთან აღრევამდე მსგავსი, გადაწყვეტილებაში N50-03/11 პალატამ დაადგინა, რომ სასაქონლო ნიშნები „DIAREX“ და „DUREX“ არ იყო ერთმანეთთან აღრევამდე მსგავსი. აპელანტის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან კარგად ჩანს, რომ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის სულ მცირედი ვიზუალური და ფონეტიკური განსხვავებაც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პალატას არ დაედგინა ნიშნების აღრევამდე მსგავსება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 სექტემბრის სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1182/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „Supradol სუპრადოლი Супрадол“ (საიდ. №78234/03) დარეგისტრირებას საქართველოში მე-5 კლასის საქონლის შემდეგი განცხადებული ჩამონათვალის მიმართ: „ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები და მედიკამენტები ადამიანებისათვის“.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია, როგორც ფონეტიკურად ისე ვიზუალურად. ნიშნები აღრევამდე მსგავსია ფონეტიკურად, ვინაიდან ერთი გამოითქმის როგორც „სუპრადოლი“ და მეორე როგორც „სურფრადოლი“. რაც შეეხება ნიშნების ვიზუალურ მსგავსებას - ორივე ნიშანი წარმოადგენს მხოლოდ სიტყვიერ ჩანაწერს და არ შეიცავს გამოსახულებას. ამასთან, მსგავსია განცხადებული სასაქონლო ნიშნის ლათინური ანბანით შესრულებული სიტყვიერი ელემენტისა და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის, სტანდარტული ლათინური ასოებით შესრულებული საწყისი „Supra“-„Surfra“ და ბოლო ნაწილები „dol“-„dol“. დაპირისპირებულ ნიშნებში განსხვავებულია მხოლოდ სიტყვების შუაში მოთავსებული ასო-ბგერები „p“ და „r“, ხოლო დანარჩენი შვიდი ბგერა იდენტურია ხოლო ასოები აღრევამდე მსგავსია, რაც აძლიერებს ნიშნების აღრევის შესაძლებლობას. ამასთან, მართალია, განცხადებული ნიშანი 3 ენაზეა შესრულებული (ქართულად, ლათინურად და კირილიცაზე) და შეიცავს ერთ განსხვავებულ ასოს „p“, მაგრამ აღნიშნული ვერ სძენს ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. კოლეგია ასევე, ვერ დაეთანხმება აპელანტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ განსხვავებულია საქონლის ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც

მოითხოვება ნიშნების რეგისტრაცია, ვინაიდან, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირებულია მე-5 კლასში ფარმაცევტული პრეპარატების მიმართ, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება ისეთი საქონლის ჩამონათვლის მიმართ, რომელიც ასევე, წარმოადგენს მე-5 კლასში შემავალ ფარმაცევტულ პრეპარატებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „Supradol სუპრადოლი Супрадол“ (საიდ. №78234/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ლაბორატორიოს ლიომონტ ეს ეი დე სი ვი“ (Laboratorios liomont S.A. de C.V.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 22 სექტემბრის №1182/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ს. მუჯირი

წევრები:

ი. გიქორაშვილი

მ. ჭიჭინაძე